ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7456222

ნომერი: AR11087330

თარიღი : 14.04.2025

გაცემის თარიღი : 23.04.2025

გაცნობის თარიღი : 23.04.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, N 27;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკა ხუტიაშვილი პ/ნ 01005036756
- თბილისი აკ.ბელიაშვილის ქ. N 40 კორ. 2 ბ. 47

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "სალი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 208183534
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: რუსუდან ჩერგოლეიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01007006413

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1855.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 713.81
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 3179.0

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 2148.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1030.5
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 12.34
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 9.34
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2025 წლის 14 აპრილის AR11087330 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზ. N27-ში არსებული შენობის დემონტაჟის ნებართვის გაცემის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1 სამსახურის მიერ 2024 წლის 19 ნოემბრის № 7291980 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი - ისანი), წმინდა ქეთევან დედოფლის გამზ. №27-ში, შპს „სალი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი № 01.17.01.122.008), არსებული შენობის რეკონსტრუქციის (სასტუმროს ფუნქციით) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა; ვინაიდან შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციასა და მიმდინარე განცხადებაზე წარმოდგენილია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნა შენობის მდგომარეობის შესახებ, იმისათვის, რომ სამსახურს მიეცეს საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობა, საჭიროა პირველ ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან „ა“ ტიპის აკრედიტირებული საექსპერტო ორგანოს მიერ მომზადებული ტექნიკური მდგრადობის დასკვნა და მომიჯნავე შენობა-ნაგებობის კვლევის ანგარიში დემონტაჟის გათვალისწინებით;

2, .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი. -> .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის pdf ფაილი. : - ანაზომის მიხედვიტ სადემონტაჟო შენობა N03/2 სცდება საკადასტრო საზღვრებს;
- გეგმებზე არ არის დატანილი ჭრილის ხაზები;
- ყველა გეგმაზე დატანილი იქნეს ფართები;
- ფასადები არ შეესაბამება არსებულ სიტუაციას.

3. წარმოდგენილი იქნეს სამომავლოდ განვითარების ესკიზი. გაითვალისწინეთ, რომ საჭიროა წარმოდგენილი იქნეს ფოტომონტაჟები სხვადაასხვა ხედიდან რეალურ განაშენიანებაში ჩვენეით, მასალის, ზომების, ნიშნულების მითითებით;

4. წარმოდგენილი იქნეს ისტორიულ-არქიტექტურული, ანალიტიკური ინფორმაცია (სახელოვნებამცოდნეო კვლევა), რომელშიც შეფასებული იქნება შენობის დემონტაჟი ;

5. არ არის წარმოდგენილი დემონტაჟის პროექტის საექსპერტო შეფასება;

6. წარმოდგენილ იქნეს იპოთეკარის თანხმობა დემონტაჟთან დაკავშირებით. ამასთან, საჭიროა თანხმობას დაერთოს თანხმობაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად. ვინაიდან მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა და ხორციელდება შენობა-ნაგებობის დემონტაჟი, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს თანხმობა შემოსავლების სამსახურიდან ან განახლდეს საჯარო რეესტრის ამონაწერი, სადაც საგადასახადო გირავნობა აღარ იქნება დაფიქსირებული.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.